საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-830

ქ. თბილისი

08/06/2021

ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ ბლოკური ტიპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიაზე გადაცემის შესახებ

2021 წლის 27 მაისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ გამგეობის თავმჯდომარემ და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერმა. ა(ა)იპ „ასოციაცია ატუმ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიაზე და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2006 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ ბლოკური ტიპის საკანალიზაციო გამწმენდ ნაგებობაზე (ქ. საჩხერე) გაცემულია №79 (11.10.2006) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 17 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-671 ბრძანება „ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ ბლოკური ტიპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ ბლოკური ტიპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 მაისის №2-671 ბრძანებით გაცემული

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიას;

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 მაისის №2-671 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ „ასოციაცია ატუს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი